საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №33/2006

2006 წლის 13 სექტემბერი

ქ. თბილისი

2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის ზოგიერთი ძირითადი საარჩევნო ღონისძიებების ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის №86 ზემო აფხაზეთის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებული ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსიის გაცნობა და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-13 დღისა (22 სექტემბერისა).

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის №1ᵃ) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **გ. ჩალაგაშვილი**

კომისიის მდივანი **გ. მჭედლიძე**